



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი  
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები)

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი  
25 სექტემბერი, 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი  
21 ნოემბერი, 2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

|                                                                             |                                     |
|-----------------------------------------------------------------------------|-------------------------------------|
| დაწესებულების სახელწოდება<br>ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის<br>მითითებით | შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი                                          | 400028849                           |
| დაწესებულების სახე                                                          | უნივერსიტეტი                        |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

|                                                            |                                                        |
|------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება                       | ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები)                    |
| განათლების საფეხური                                        | მაგისტრატურა                                           |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია<br>კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი<br>(ფინანსებში 0412) |
| სწავლების ენა                                              | ქართული                                                |
| კრედიტების რაოდენობა                                       | 120                                                    |
| პროგრამის სტატუსი<br>(ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)     | აკრედიტებული                                           |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

|                                                          |                                                                                                 |
|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი,<br>უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მერაბ ხოხობაია, ივანე ჯავახიშვილის<br>სახელობის თბილისის სახელმწიფო<br>უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,<br>ქვეყანა)       | მაია ბარამიძე, კავკასიის უნივერსიტეტი,<br>საქართველო                                            |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,<br>ქვეყანა)       | მაია მორგოშია, შპს მარჯი, საქართველო                                                            |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,<br>ქვეყანა)       | ნინო ტალიკაძე, ივანე ჯავახიშვილის<br>სახელობის თბილისის სახელმწიფო<br>უნივერსიტეტი, საქართველო  |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

### ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამამ ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები), აკრედიტაცია გაიარა 2014 წელს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N135, 25 ივნისი). სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია ფინანსების სფეროში ღრმა და სისტემური ცოდნის გადაცემაზე. პროგრამის მიზანია სამეცნიერო კვლევისა და ანალიტიკური მუშაობის შესაძლებლობის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ ბიზნესის ადმინისტრირების, ფინანსების ანალიზის და მართვის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევები. შესაბამისად, იგი უზრუნველყოფს ფინანსების მიმართულებით კადრების მომზადებას, როგორც მაღალი რგოლის მენეჯერულ პოზიციებზე, ასევე უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად. საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებულია აპრობირებული მეთოდები: ლექცია, სემინარი, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევის ანალიზი, პროექტების პრეზენტაცია, თანამშრომლობითი სწავლება და ა.შ. რომელიც მთლიანობაში უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტის შეფასების ფორმად განსაზღვრულია შუალედური (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება. შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას.

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, სავალდებულო სასწავლო კომპონენტია 80 (ECTS) კრედიტი, ხოლო არჩევითი 15 (ECTS) კრედიტი. პროგრამაში წარმოდგენილია კვლევითი კომპონენტი სამაგისტრო ნაშრომი, აღნიშნული კომპონენტის შესრულება ითვალისწინებს 25 (ECTS) კრედიტს. პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი ფინანსებში. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა 2 წელია, რომელიც მთლიანობაში შეადგენს 4 სემესტრს. პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილი არის საგანმანათლებლო პროგრამისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით და ინფრასტრუქტურით. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, კომპიუტერული რესურს ცენტრი, საკონფერენციო დარბაზი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 15 აკადემიური პერსონალი, 5 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი და 4 მოწვეული.

## **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სამაგისტრო პროგრამის ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები) აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელდა 2019 წლის 25 სექტემბერს. დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით შედგა ყველა დაგეგმილი შეხვედრა. კერძოდ, დაწესებულების ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებთან. ასევე, შეხვედრა გაიმართა უნივერსიტეტის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, გადამოწმდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა და ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა. ვიზიტის ფარგლებში ჯგუფის წევრების მიერ მოხდა სამაგისტრო ნაშრომების და პრაქტიკის ანგარიშების გადახედვა. ასევე, დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა ვიზიტის ფარგლებში დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია. დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრების დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო დოკუმენტაციის გაანალიზების და ვიზიტის შედეგად პროგრამის შესახებ ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები.

## **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოკვეთილი დოკუმენტების და ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე ჯგუფმა დაადგინა სამაგისტრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები) აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. კერძოდ, სტანდარტი I - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა, შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სტანდარტი II - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა, მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან. სტანდარტი III - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სტანდარტი IV - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სტანდარტი V - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები, შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

## რეკომენდაციები

- რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში, უცხო ენის (ინგლისური) ნაწილში ჩანაწერი „არასრული კურსი“ დაზუსტდეს და გამოცდისგან გათავისუფლდეს ის კანდიდატები რომლებმაც ინგლისურ ენაზე გავლილი ექნებათ ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სრული კურსი.
- რეკომენდებულია პროგრამაში, ძირითად სასწავლო კურსების ნაწილში, გათვალისწინებულ იქნას ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IFRS), რომელიც შესაძლებელია სტუდენტებისათვის შეთავაზებულ იქნას სასწავლო კურსის - „ფინანსური ანგარიშგება“ ფარგლებში.
- რეკომენდებულია სავალდებულო სასწავლო კურსს „ინვესტიციების ანალიზი“ წინაპირობად განესაზღვროს რაოდენობრივი ანალიზი.
- რეკომენდებულია დაწესებულებამ ეფექტიანად გამოიყენოს არსებული საერთაშორისო კონტაქტები და მოახდინოს სტუდენტების წახალისება საერთაშორისო მობილობაში და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის კუთხით.
- რეკომენდებულია დაწესებულებამ მოახდინოს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის წახალისება საერთაშორისო მობილობაში და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის კუთხით.

## რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამა არჩევითი სასწავლო კურსების ნაწილში ითვალისწინებდეს ფინანსების პროფილის სასწავლო დისციპლინებს.
- მიზანშეწონილია არჩევითი კურსის სახით სტუდენტებისათვის შეთავაზებულ იქნას „დარგობრივი უცხო ენა“.
- საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსი - „რაოდენობრივი ანალიზი“ შინაარსიდან გამომდინარე სასურველია ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით - „რაოდენობრივი ანალიზი ბიზნესში“.
- სასწავლო კურსის სილაბუსებში მიზანშეწონილია გადაიხედოს ცალკეული კომპონენტების შეფასების (პროექტი, რეფერატი, პრეზენტაცია და ა.შ) ბიჯი.
- სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის ამაღლების მიზნით უნდა გაუმჯობესდეს მათი შესაბამისობა აკადემიურ მოთხოვნებთან. კერძოდ, მეტი ყურადღება მიექცეს ნაშრომის სტრუქტურის და აკადემიური წერის სტანდარტების დაცვას.

- მიზანშეწონილია განხორციელდეს ცვლილება პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულების და შეფასების წესში. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცედურა (თემის სათაურის და ხელმძღვანელის რეგისტრაცია) დაკონკრეტდეს და განისაზღვროს სასწავლო წლის მესამე სემესტრში.

### **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

#### **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო აკრედიტაციის შემდეგ პროგრამის გაუმჯობესების თვალსაზრისით განხორციელდა გარკვეული ცვლილებები. კერძოდ, სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ჩამოყალიბდა საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. დაზუსტდა შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები, სწავლა/სწავლების მეთოდები. სამაგისტრო პროგრამის კურსკულუმში განხორციელდა ცვლილებები როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი კურსების ნაწილში. კერძოდ, სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატა მენეჯერული ეკონომიკა, სტრატეგიული მარკეტინგი, კორპორაციული ფინანსები და კორპორაციული მართვის სასწავლო კურსები. სავალდებულო კურსები გახდა ბიზნესის კვლევის მეთოდები და ფინანსური რისკების მართვა. რაც შეეხება თავისუფალ კომპონენტს, ამ ნაწილში დაემატა სამი სასწავლო კურსი, უპირატესობების მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა, B2B მარკეტინგი. გარკვეული ცვლილებები განხორციელდა სასწავლო კურსების კრედიტებში, მაგალითად: მოხდა კრედიტების დიფერენცირება 5 და 6 კრედიტის მოცულობით, 8 კრედიტამდე გაიზარდა პრაქტიკის კომპონენტი, ხოლო კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი გახდა 25 კრედიტი.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები) - ორიენტირებულია ბიზნესის ადმინისტრირების, კერძოდ ფინანსების სფეროში ღრმა და სისტემური ცოდნის გადაცემაზე. პროგრამის მიზანია სამეცნიერო კვლევისა და ანალიტიკური მუშაობის შესაძლებლობის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ ბიზნესის ადმინისტრირების, ფინანსების ანალიზის და მართვის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევები. იგი ფოკუსირებულია სტუდენტების მომზადებაზე, როგორც მაღალი რგოლის საფინანსო მენეჯერულ პოზიციებზე, ასევე უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებაზე. პროგრამის მიზნები არის დაკონკრეტებული და იგი ადეკვატურად ასახავს ცოდნის, უნარების კომპეტენციების თვალსაზრისით პროგრამის ფუნდამენტურ ვექტორს. პროგრამის შემუშავების პროცესში გამოყენებულია საზღვარგარეთის გამოცდილება და უცხოური ანალოგები. აღნიშნული დასტურდება როგორც წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ასევე ინტერვიუს შედეგად. პროგრამაში სასწავლო სილაბუსებში გათვალისწინებულია თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რომლის ინტენსიურად გამოყენება ხელს შეუწყობს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, რომელიც ორიენტირებულია სწავლებისა და კვლევის ინტეგრირებაზე, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაზე. ასევე, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე, ქართულ და მსოფლიო კულტურულ ღირებულებებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნაზე სტუდენტებისა და აკადემიური საზოგადოებისათვის. მისია ითვალისწინებს სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობას და აკადემიური საზოგადოების პროფესიულ განვითარებას. უნივერსიტეტს განხორციელებული აქვს შრომის ბაზრის კვლევა, შესაბამისად პროგრამის მიზნებში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის ტენდენციებიც. საგანმანათლებლო პროგრამა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

## მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები);
- შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მისია;
- ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი <http://eeu.edu.ge>

## რეკომენდაციები:

## რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

## საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

## მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

## შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.



## სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები აღწერს იმ ძირითად ცოდნასა და უნარებს რასაც პროგრამის კურსდამთავრებული შეიძენს პროგრამის დასრულების შედეგად. მთლიანობაში პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის შვიდ შედეგზე გასვლას. ცოდნის და გაცნობიერების თვალსაზრისით სტუდენტმა იცის ფინანსების მართვის, მარკეტინგის ანალიზის ეკონომიკის დინამიკური განვითარების თანამდეროვე კონცეფციები და სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების მეთოდები. კურსდამთავრებული აცნობიერებს კვლევების ჩატარებისა და მოპოვებული ინფორმაციის სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე მენეჯერული გადაწყვეტილების მნიშვნელობას. კურსდამთავრებულს შეუძლია ბიზნეს საქმიანობის კომპლექსური შეფასება, იგულისხმება ფულადი სახსრების მოძრაობა, დროის და რისკის გათვალისწინებით. ასევე, საინვესტიციო პროცესის მონაწილე სუბიექტების ტექნიკური ორგანიზაციული და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების ანალიზი და ბაზრის განვითარების ტენდენციების შეფასება. ამავე ნაწილში დაკონკრეტებულია, რომ კურსდამთავრებული შეძლებს კომპანიისათვის ფინანსური მოდელების შემუშავებას, ბაზრის ცალკეული სეგმენტის კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვას და განხორციელებას, ალტერნატიული ინვესტიციების პოტენციური ღირებულების შეფასებას და ეფექტიანი საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებას. პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის თვალსაზრისით კურსდამთავრებული შეძლებს პრობლემების იდენტიფიკაციას და მათი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებას. ასევე, შესაბამისი კვლევის მეთოდების გამოყენებას, სამეცნიერო წყაროების მოძიებას და სამუშაოს დამოუკიდებლად წარმართვას.

პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. მთლიანობაში სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებით განსაზღვრულ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მომზადებას, რაც მნიშვნელოვანი ინდიკატორია იმისა, რომ სწავლის შედეგები შეესაბამება დარგის სპეციფიკას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების გზამკვლევი რომელშიც აღწერილია კურსკულუმის შედგენის მეთოდები და განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების პროცედურები. პროგრამაში წარმოდგენილია სწავლის შედეგების რუკა, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, პროგრამის კურსკულუმის რუკა, პროგრამის სწავლის შედეგებისა და მეთოდების რუკა. რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამით გათვალისწინებული თითოეული კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგი და თითოეული სწავლის შედეგის მიღწევაში პროგრამის სავალდებულო კომპონენტების მონაწილეობა.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს შედეგად დასტურდება პროცესებში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. დაწესებულება ახორციელებს პროგრამის შეფასებას და განსაზღვრული აქვს სამიზნე ნიშნულები, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან მექანიზმს ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს როგორც გარე ტენდენციების შეფასებას (შრომის ბაზრის კვლევა),

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                            |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p>ასევე, უნივერსიტეტში კვლევების განხორციელებას (სტუდენტები, კურსდამთავრებული, აკადემიური პერსონალი). კვლევის შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება პროგრამასთან დაკავშირებული საჭირო ცვლილებები.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |
| <p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>○ საგანმანათლებლო პროგრამა;</li> <li>○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გზამკვლევი;</li> <li>○ შრომის ბაზრის კვლევა;</li> <li>○ პროგრამის სამიზნე ნიშნულები;</li> <li>○ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;</li> <li>○ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი;</li> <li>○ ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან;</li> <li>○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;</li> <li>○ გამოკითხვის შედეგები;</li> </ul> |
| <p><b>რეკომენდაციები:</b></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                              |
| <p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |
| <p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |
| <p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                          |
| <p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                           |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი                                                                           | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-------------------------------------------------------------------------------------|------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓                            |                                       |                                         |                                     |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები) განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. პროგრამაზე შესაძლებელია ჩაირიცხოს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი რომელიც ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდას და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდას. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ბარდება როგორც სპეციალობაში, ასევე უცხო ენაში (ინგლისური). ინგლისურ ენაში გამოცდისგან თავისუფლდება კანდიდატი თუ იგი წარმოადგენს ALTE B2 დონის დამადასტურებელ სერთიფიკატს. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სპეციალობაში გამოცდა მნიშვნელოვანია. ვინაიდან იგი ხელს უწყობს კანდიდატის საბაზისო ცოდნის შემოწმებას, შესაბამისად იგი გარკვეულწილად განსაზღვრავს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევას. ინგლისურ ენაში წინაპირობად B2 დონის განსაზღვრა ხელს შეუწყობს თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურის შესწავლას, რომელიც მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. მთლიანობაში პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის ლოგიკურად განსაზღვრული და დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან. თუმცა, უცხო ენის ნაწილში პროგრამაში გხვდება შემდეგი ჩანაწერი, ინგლისური ენის გამოცდისგან

თავისუფლდება კანდიდატი ვისაც გავლილი აქვს ინგლისურ ენაზე ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის „სრული ან არასრული კურსი“. ამ ნაწილში უმჯობესია დაკონკრეტდეს რომ კანდიდატს გავლილი უნდა ქონდეს შესაბამისი საფეხურის სრული კურსი. პროგრამის დაშვების წინაპირობები და პროცედურები საჯაროა და იგი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ- გვერდზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი <http://eeu.edu.ge>

**რეკომენდაციები:**

რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში, უცხო ენის (ინგლისური) ნაწილში ჩანაწერი „არასრული კურსი“ დაზუსტდეს და გამოცდისგან გათავისუფლდეს ის კანდიდატები, რომლებმაც ინგლისურ ენაზე გავლილი ექნებათ ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სრული კურსი.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

### **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამა აგებულია საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი წესის შესაბამისად. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების და მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი. რომელშიც გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული პროცედურები. პროგრამა აგებულია ევროპულ კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად პროგრამის მოცულობა და შინაარსი შეესაბამება სამაგისტრო სწავლების საფეხურს. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები) მოცულობაა 120 კრედიტი. კრედიტები განაწილებულია შემდეგი სახით: **სავალდებულო სასწავლო კურსები - 72 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი - 25 კრედიტი, სასწავლო პრაქტიკა 8 კრედიტი, არჩევითი სასწავლო კურსები 15 კრედიტი.** პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, პროგრამას განსაზღვრული აქვს შიდა გამოცდა ინგლისურ ენაში და გამოცდა სპეციალობაში. რომელიც მნიშვნელოვანი წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღების თვალსაზრისით. პროგრამის შემუშავების დროს გამოყენებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა უკუკავშირი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგები. შინაარსობრივი და სტრუქტურული თვალსაზრისით დაწესებულებამ გაითვალისწინა ანალოგიური პროგრამები და საერთაშორისო გამოცდილება. უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო დაინტერესებულმა მხარეებმა (პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებელი, ადმინისტრაცია). პროგრამაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობით განხორციელდა ცვლილებები, რომელიც ეხება შეფასების ფორმებს, სწავლა/სწავლების მეთოდებს. ცვლილებები შეეხო პროგრამის კურსკულუმს როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი კურსების ნაწილში.

პროგრამის შინაარსი შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამა ითვალისწინებს ერთი მხრივ, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სასწავლო დისციპლინებს, (მაგალითად, სტრატეგიული მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი და ა.შ) ხოლო მეორე მხრივ ფინანსური პროფილის სასწავლო კურსებს (მენეჯერული აღრიცხვა, ფინანსური რისკების მართვა, საერთაშორისო ფინანსები და ა.შ). სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილში მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნას ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IFRS), რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაძლიერებას. აღნიშნული საკითხის შესწავლა შესაძლებელია სასწავლო კურსის - „ფინანსური ანგარიშგება“ სავალდებულო სასწავლო კურსად შეთავაზების გზით. ფინანსური მუხლების აღრიცხვა და შეფასება, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების მომზადება და სწავლება

საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით ხელს შეუწყობს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების და სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევას. პროგრამაში სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული, თუმცა მიზანშეწონილად მიგვაჩნია სავალდებულო სასწავლო კურსს „ინვესტიციების ანალიზი“ წინაპირობად განესაზღვროს რაოდენობრივი ანალიზი. ასევე, სასურველად საგანმანათლებლო პროგრამა არჩევითი სასწავლო კურსების ნაწილში ითვალისწინებდეს ფინანსების პროფილის სასწავლო დისციპლინებს და დარგობრივ უცხო ენას რომელიც მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით. აღნიშნული საკითხის აქტუალობა დადასტურდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს პროცესშიც.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია პროგრამაში ძირითად სასწავლო კურსების ნაწილში გათვალისწინებულ იქნას ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IFRS), რომელიც შესაძლებელია სტუდენტებისათვის შეთავაზებულ იქნას სასწავლო კურსის - „ფინანსური ანგარიშგება“ ფარგლებში.
- რეკომენდებულია სავალდებულო სასწავლო კურსს „ინვესტიციების ანალიზი“ წინაპირობად განესაზღვროს რაოდენობრივი ანალიზი.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია საგანმანათლებლო პროგრამა არჩევითი სასწავლო კურსების ნაწილში ითვალისწინებდეს ფინანსების პროფილის სასწავლო დისციპლინებს.

მიზანშეწონილია არჩევითი კურსის სახით სტუდენტებისათვის შეთავაზებულ იქნას „დარგობრივი უცხო ენა“.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

## შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ამასთანავე, სასწავლო კურსის შინაარსი ადეკვატურია სამაგისტრო საფეხურის სწავლების დონესთან. 72 კრედიტი ეთმობა სავალდებულო სასწავლო კურსებს, მთლიანობაში პროგრამაში გათვალისწინებული სასწავლო კურსები შეესაბამება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პროფილს. სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია ინფორმაცია სასწავლო კურსის კრედიტის, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების, კურსების მიზნის და შედეგების შესახებ. სასწავლო კურსების თითოეულ სილაბუსებში მოცემულია სწავლის შედეგების რუკა, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს სწავლის შედეგების კავშირები შედეგების მიღწევის მეთოდებთან. შედეგების შეფასებისთვის დაწესებულია იყენებს სამ დონიან შკალას (მაღალი, საშუალო, დაბალი). სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა არის უახლესი და სასწავლო კურსების შინაარსთან შესაბამისი. პროგრამაში სასწავლო კურსები 5 და 6 კრედიტიანია, შეიძლება ითქვას რომ არსებული დატვირთვის პირობებში სასწავლო კურსების სწავლის შედეგები არის მიღწევადი. საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსი „რაოდენობრივი ანალიზი“ - შინაარსიდან გამომდინარე სასურველია ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით „რაოდენობრივი ანალიზი ბიზნესში“. ასევე, სასწავლო კურსის სილაბუსებში (კორპორაციათა ფინანსები, ინვესტიციების ანალიზი, მენეჯერული ეკონომიკა, სტრატეგიული მენეჯმენტი) აქტივობების შეფასებაში არის გარკვეული ტექნიკური ხასიათის შეცდომები (მაგალითად,

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p>კომპონენტის შეფასების ბიჯი). შესაბამისად მათი დაზუსტება მნიშვნელოვანია ცალკეული კომპონენტების შეფასების გამჭვირვალობის თვალსაზრისით.</p>                                                                                                                                                                                                                                                                    |
| <p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ სასწავლო კურსების სილაბუსები;</li> <li>○ საგანმანათლებლო პროგრამა;</li> <li>○ თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>○ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;</li> <li>○ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;</li> <li>○ ინტერვიუ ფაკულტეტის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;</li> </ul> |
| <p><b>რეკომენდაციები:</b></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |
| <p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსი - „რაოდენობრივი ანალიზი“ შინაარსიდან გამომდინარე სასურველია ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით - „რაოდენობრივი ანალიზი ბიზნესში“.</p> <p>სასწავლო კურსის სილაბუსებში მიზანშეწონილია გადაიხედოს ცალკეული კომპონენტების შეფასების (პროექტი, რეფერატი, პრეზენტაცია და ა.შ) ბიჯი.</p>                                |
| <p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                      |
| <p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                              |
| <p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>                                                                                               |



**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებულია აქტივობები რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას (პრეზენტაცია, პროექტი, შემთხვევის ანალიზი და ა.შ). სამაგისტრო პროგრამაში სავალდებულო კომპონენტად გათვალისწინებულია პრაქტიკა (8 კრედიტი), სტუდენტები 10 კვირის განმავლობაში ასრულებენ დავალებებს რომლის ასახვა ხდება პრაქტიკის ანგარიშში. აკრედიტაციის ვიზიტის პროცესში დაწესებულებამ წარმოადგინა პრაქტიკის ანგარიშები. სტუდენტებს საშუალება აქვთ გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში პრაქტიკა გაიარონ საჯარო და კერძო სექტორის ორგანიზაციებში. პროგრამაში სავალდებულო კომპონენტად არის ჩართული სამაგისტრო ნაშრომი (25 კრედიტი), რომლის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს კვლევითი უნარების განვითარებას და მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ პროგრამაში გათვალისწინებული საგანმანათლებლო აქტივობები, ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ანალიტიკური კომპეტენციების, ტრანსფერული უნარების განვითარებას. საგანმანათლებლო დაწესებულებაში იმართება სამეცნიერო კონფერენციები, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები) პროგრამის სტუდენტებიც. მიუხედავად ამისა, სტუდენტების კვლევის შედეგები ცალსახად ადასტურებს, რომ დაწესებულებამ აქტიურად უნდა იმუშავოს პრაქტიკულ კომპონენტების განვითარებაზე. აღნიშნულ საკითხზე საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციამ ჯგუფს მიაწოდა ინფორმაცია, რომ იგეგმება ბიზნეს აქსელატორის გახსნა, სადაც სტუდენტები შეძლებენ ბიზნეს იდეების, პროექტების პრაქტიკაში რეალიზაციას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- სტუდენტების პრაქტიკის ანგარიში;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში გამოიყენება პროგრამის პროფილის შესაბამისი მეთოდები (ლექცია, სემინარი, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ჯგუფური მუშაობა და ა.შ.). სწავლა-სწავლების მეთოდები ლოგიკურადაა გამოყენებული სასწავლო კურსებში. იგი შესაბამისობაშია სასწავლო კურსის შინაარსთან და უზრუნველყოფს სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს პროცესში დადასტურდა საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებთან ინდივიდუალური მიდგომების გამოყენება. კერძოდ, სტუდენტების დამატებით კონსულტაციით, ლიტერატურით და შესაბამისი რჩევებით უზრუნველყოფა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის სილაბუსები;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან;

**რეკომენდაციები:**

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის                                                                                                                                                                                                                                                                               |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):                                                                                                                                                                                                                                                                      |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)                                                                                                                                                                                                                              |
| <p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p> |

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>2.6. სტუდენტების შეფასება</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                          |
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |
| <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>სტუდენტის მიღწევების შეფასებისას შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით (ბრიუსელი; 2005.14.02) და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით (2004.21.12) და საქართველოს განათლებისა და „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით.</p> <p>სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების ფორმები მოიცავს შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებებს, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის, უნარის და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიითი გამოცდა, ზეპირი/წერიითი გამოკითხვა,</p> |

საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვა). შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში. აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, თითოეული ლექტორი თავად ირჩევს შეფასების მეთოდებს, განსაზღვრავს, ნათლად და მკაფიოდ აყალიბებს შეფასების კრიტერიუმებს და მათ შესაბამის ქულებს, რაც გაწერილია შესაბამის სილაბუსში. ასევე, სილაბუსში მოცემულია შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვრები. კერძოდ, დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს - 60 ქულიანი შუალედური შეფასების შემთხვევაში არანაკლებ 21 ქულა, 70 ქულიანი შუალედური შეფასების შემთხვევაში არანაკლებ 26 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 50% - (40 ქულიან დასკვნითი შეფასების შემთხვევაში არანაკლებ 20 ქულა, 30 ქულიან დასკვნითი შეფასების შემთხვევაში არანაკლებ 15 ქულა).

ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სამაგისტრო ნაშრომი ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას და ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით.

აღსანიშნავია, რომ ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსებში) სამაგისტრო პროგრამის გამოკითხული სტუდენტები (57,3%), სრულიად ეთანხმება მოსაზრებას, რომ სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები ნათლად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. სტუდენტებმა გასაუბრების დროს დადებითად შეაფასეს მოქმედი შეფასების სისტემა და მისი შემადგენელი კომპონენტები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები) საგანმანათლებლო პროგრამა;
- ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები) სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- საგამოცდო ცენტრის დებულება;
- ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p> |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი                                                                       | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---------------------------------------------------------------------------------|------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------------|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა |                              | ✓                                     |                                         |                                     |

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

#### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებასა და კარიერულ განვითარებაზე სათანადო კონსულტაციას/ინფორმაციას იღებენ სხვადასხვა საშუალებით. კერძოდ, EEU-ს პირველსემესტრელი მაგისტრანტების ახალ საგანმანათლებლო სივრცეში ორიენტირებისა და ინტეგრირების, სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმვის მიზნით სასწავლო პროცესის მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტი „ერთი სარკმლის“ პრინციპით ყველა სტუდენტს უწევს კონსულტაციას. სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ყოველი სემესტრის დასაწყისში იმართება საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან, სადაც ადმინისტრაციის წარმომადგენლები ისმენენ სტუდენტთა მოსაზრებებს, რეკომენდაციებს სასწავლო პროცესსა და უნივერსიტეტში მიმდინარე სხვა საკითხებთან დაკავშირებით. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, მომსახურების მიღების მიზნით, სასწავლო პროცესთან, კარიერულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართონ ფაკულტეტის სასწავლო პროცესისა და უწყვეტი განათლების სამსახურების მენეჯერებს. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, გარდა სასწავლო გეგმის, საგამოცდო ცხრილებისა და შეფასებების ნახვისა, აწარმოონ მიმოწერა ადმინისტრაციასთან – მოითხოვონ სხვადასხვა სახის დოკუმენტი ან გაგზავნონ განაცხადი შუალედური/დასკვნითი გამოცდის აღდგენის ან მიღებული შეფასების აპელაციის მიზნით. სტუდენტებთან კომუნიკაციისათვის გამოიყენება პირადი ელ-ფოსტა, სატელეფონო შეტყობინება, სოციალურ ქსელებში შექმნილი ოფიციალური ჯგუფები. თუმცა, სტუდენტები უფრო აქტიურად იყენებენ პირად ელ-ფოსტას, ვიდრე კორპორატიულს.

როგორც სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგებით დგინდება, გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა უნივერსიტეტის მიერ სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და კონსულტაციებს დადებით შეფასებას აძლევს. სტუდენტთა კმაყოფილების კვლევით დგინდება, რომ მაგისტრანტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიღების წყარო უნივერსიტეტის ვებ-გვერდია. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე სტუდენტთათვის თავსდება როგორც განხორციელებული, ისე დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია - კონფერენციები, სხვადასხვა ქვეყნის სტიპენდიები, გაცვლითი პროგრამები, საჯარო ლექციები და სხვა. გარდა ამისა, ვებ-გვერდზე

გამოქვეყნებულია: გზამკვლევი სტუდენტებისთვის, პროგრამების კატალოგი, საკონსულტაციო განრიგი. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია გაცვლითი პროგრამების შესახებ. ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა აქტივობა ამ მხრივ არ ფიქსირდება. პროგრამის ხელმძღვანელებთან და სტუდენტებთან ინტერვიუდან გამომდინარე გამოიკვეთა ორი მიზეზი: პირველი, მაგისტრანტები არიან დასაქმებულები, მეორე, მობილობის პერიოდი არის დიდი (6 თვე). შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ დაწესებულებამ ეფექტიანად უნდა გამოიყენოს არსებული კონტაქტები და მოახდინოს სტუდენტების წახალისება საერთაშორისო მობილობებში, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის კუთხით.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის თანახმად, სტუდენტები დადებითად აფასებენ ლექტორებთან ინდივიდუალური კონსულტაციის გავლის შესაძლებლობებს. მაგალითად, კვლევაში მონაწილეთა 92,9% ასახელებს, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ინდივიდუალური კონსულტაციის გავლა, 42,9% ძალიან ხშირად იღებს კონსულტაციებს ლექტორებისგან. ეს უკანასკნელი დასტურდება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულთან ინტერვიუებიდან.

სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის სერვისის განხორციელება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესის მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტის ფუნქციებში. კერძოდ, მოცემული დეპარტამენტის ფუნქციაა უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება, უნივერსიტეტში სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების, დასაქმებისა და კარიერულ ზრდის ხელშეწყობა და ა.შ.

უნივერსიტეტი ჩართულია სტუდენტური სტაჟირების სახელმწიფო პროგრამაში, ასევე, აქტიურად თანამშრომლობს საჯარო სამსახურის ბიუროსთან, რომელიც ყოველწლიურად უზრუნველყოფს მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების სტაჟირებას საჯარო სამსახურში. სტუდენტთა დასაქმების მიზნით აგრეთვე მოქმედებს შიდასაუნივერსიტეტო სტაჟირების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ფაკულტეტებსა და ადმინისტრაციულ სამსახურებში სტუდენტების სტაჟირებას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სტუდენტები გადიან ანაზღაურებად ან არაანაზღაურებად სტაჟირებას უნივერსიტეტის სხვადასხვა დეპარტამენტებში, ხოლო სტაჟირების დასრულების შემდეგ შესაძლებელია დასაქმდნენ ამავე სამსახურში.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „სტუდენტური პროექტებისა და აქტივობების დაფინანსების წესი“, რომლის მიზანია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებსა თუ კურსდამთავრებულებს შეუქმნას სამეცნიერო კვლევებისთვის სათანადო პირობები და მოტივაცია, გაუმჯობესდეს საგანმანათლებლო პროგრამებში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი და ამაღლდეს განათლების ხარისხი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სასწავლო პროცესის მართვისა და უწყვეტი განათლების სამსახურის დებულება;
- ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები) სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- სტუდენტური პროექტებისა და აქტივობების დაფინანსების წესი;
- საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;

**რეკომენდაციები:**

რეკომენდებულია დაწესებულებამ ეფექტიანად გამოიყენოს არსებული საერთაშორისო კონტაქტები და მოახდინოს სტუდენტების წახალისება საერთაშორისო მობილობაში და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის კუთხით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა**

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო პროგრამაზე მოქმედი რეგულაციების თანახმად (MBA-სამაგისტრო ნაშრომის დებულება) მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა, დაშვების წინაპირობების არსებობისას, წარმოებს არაუგვიანეს სწავლების მეოთხე სემესტრის დაწყებიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში. თუმცა პროგრამის



ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა არაოფიციალურად მესამე სემესტრში ან უფრო ადრე ხდება. მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელსაც აქვს მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება.

სამაგისტრო თემის სათაურისა და ხელმძღვანელის რეგისტრაციის შემდეგ მაგისტრანტი იწყებს სამაგისტრო კვლევის პროექტზე/ პროსპექტუსზე მუშაობას. ხელმძღვანელი კონტროლს უწევს მაგისტრანტის მიერ სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის შესრულებას. სამაგისტრო ნაშრომის დასრულების შემდეგ მაგისტრანტი ფაკულტეტს წარუდგენს მაგისტრანტის ხელმძღვანელის წერილობით დასკვნას სამაგისტრო ნაშრომის შესახებ, რომ ნაშრომი მზად არის დასკვნით შეფასებაზე წარსადგენად.

ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაცულია 16 სამაგისტრო ნაშრომი, რომელთა ხელმძღვანელობა 2017 და 2018 წლებში მთლიანად პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესორ ავთანდილ გაგნიძეს დაეკისრა. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის რაოდენობრივ მაჩვენებლებში კი ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების თანაფარდობა მითითებულია, როგორც 1/5-თან. თუმცა ექვგარეშეა მაგისტრანტთა ხელმძღვანელის კომპეტენცია, კვალიფიკაციის და გამოცდილების ადეკვატურობა და საკვლევ თემებთან შესაბამისობა.

პროგრამის და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან საუბრისას ასევე გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, მაგალითად: პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული ნაშრომების სიმცირე; მაგისტრანტის მიერ ნაშრომში რეალური საჭიროებების განსაზღვრის სირთულე და ცოდნის არასაკმარისი დონე; ნაშრომზე მუშაობისას მონაცემთა ელექტრონული ბაზების მინიმალური ან საერთოდ გამოუყენებლობა, პლაგიატის თემა და ა.შ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (ფინანსები);
- სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი;
- დაცული სამაგისტრო ნაშრომები;
- შეხვედრა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებთან;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის ამაღლების მიზნით უნდა გაუმჯობესდეს მათი შესაბამისობა აკადემიურ მოთხოვნებთან, კერძოდ, მეტი ყურადღება მიექცეს ნაშრომის სტრუქტურის და აკადემიური წერის სტანდარტების დაცვას.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი                                         | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---------------------------------------------------|------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------------|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓                            |                                       |                                         |                                     |

#### 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

##### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

##### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება აკადემიური პერსონალის და სათანადო კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორების მიერ, რომელთა სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული მოღვაწეობის გამოცდილება დასტურდება წარმოდგენილი პირადი საქმეებით.

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა განსაზღვრულია უნივერსიტეტის „სტუდენტთა კონტინგენტის და აკადემიური პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ თანახმად. სამაგისტრო პროგრამაში ჩართული პერსონალი მოიცავს: 5 პროფესორს (მათ შორის 2 აფილირებული), 5 ასოცირებულ პროფესორს (მ.შ. 2 აფილირებული), 1 ასისტენტ პროფესორს (აფილირებული) და 4 მოწვეულ ლექტორს.

ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) სამაგისტრო პროგრამაზე, ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის შემადგენლობაში, აღსანიშნავია აკადემიური პერსონალის დენადობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები, რომლებიც ბოლო 5 წლის განმავლობაში შემდეგი თანაფარდობითაა წარმოდგენილი: 27 ახალი პერსონალი, 15 - წასული პერსონალის რაოდენობა. მოწვეული ლექტორების დენადობა გამოიხატება 16 ახალი და 11 წასული პერსონალით.

„აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი“ დეტალურად განსაზღვრავს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ამ წესის თანახმად კონკურსანტი ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: ა) აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური

მუშაობის გამოცდილება, გ) ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, დ) ბოლო 5 წლის განმავლობაში არსებული სამეცნიერო სტიპენდიები, გრანტები, გამოგონებები და სხვა პროფესიული აქტივობები; ე) ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო კონფერენციებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა; ვ) წარმოდგენილი სილაბუსის შინაარსი, სწავლის შედეგებისა და მათი მიღწევის მეთოდების ადეკვატურობა.

ამრიგად, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დადასტურებულია პროგრამის პროფილის შესაბამისი პროფესიული გამოცდილებით, აკადემიური ხარისხით და სამეცნიერო ნაშრომებით, რომელთა რაოდენობრივი მაჩვენებლები მოცემულია თვითშეფასების ანგარიშში დიაგრამაზე 4.1.1. „პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ბოლო 5 წლის მანძილზე“.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა (თანაფარდობით 11/4) და მათი დატვირთვის სქემა (აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების ყოველწლიური კითხვარი) უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას, ასევე, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობისა და სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. პროგრამის ხელმძღვანელები ფლობენ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელ ცოდნა/გამოცდილებას და უშუალოდ არიან ჩართული პროგრამის განხორციელებაში, მონაწილეობენ პროგრამის შეფასება-განვითარებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ყველა ღონისძიებაში.

ფინანსების სამაგისტრო პროგრამას, ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის შემადგენლობაში, ემსახურება 57 ადმინისტრაციული და 7 დამხმარე პერსონალი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (ფინანსები);
- პროგრამის სილაბუსები;
- სტუდენტთა კონტინგენტის და აკადემიური პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- კონკურსის ჩატარების წესი და თანმხლები ფორმები;
- აკადემიური პერსონალის აფილირების წესი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების კითხვარი;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: <https://eeu.edu.ge/>

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):                                                                                                                                                                                                                                                                      |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)                                                                                                                                                                                                                              |
| <p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p> |

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p><b>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</b></p> <p>➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;</p> <p>➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |
| <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის შემადგენლობაში, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები მოიცავს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას. აღნიშნული პროცესი სისტემატურად მიმდინარეობს და მასში გამოყენებულია შეფასების ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა: სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მონაცემთა აღრიცხვა და ანალიზი; აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების კითხვარი (ყოველწლიური ანგარიში); სტუდენტთა გამოკითხვები; გარე შეფასების მექანიზმი.</p> <p>უნივერსიტეტის ელექტრონული სასწავლო ბაზაში განთავსებული კითხვარების მეშვეობით ყოველ სემესტრში ხდება გავლილი კურსის პედაგოგის შეფასება სტუდენტთა მიერ. ამ ინფორმაციის გაანალიზების შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შედეგებს ფაკულტეტს, პროგრამის ხელმძღვანელსა და სასწავლო პროცესის მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტს აწვდის. სტუდენტებთან გასაუბრებამ დაადასტურა კვლევის შედეგები, რომელიც უნივერსიტეტმა 2018-2019 წელს ჩაატარა (ინფორმაცია ასახულია დანართში - პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და</p> |

კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენების შუალედური ანგარიში პერსონალის მართვასა და განვითარებაში, ასევე თვითშეფასების დოკუმენტში დიაგრამებაზე 4.1.2).

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური ყოველწლიურად ახორციელებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და აქვეყნებს სტატისტიკას. ასევე, აკადემიური პერსონალი ავსებს წლიურ თვითშეფასების ანგარიშს, რომელშიც დეტალურადაა მოცემული ინფორმაცია მათი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების შესახებ. შედეგების ანალიზის საფუძველზე სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური აყალიბებს წლიურ სამოქმედო გეგმას.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა თვლის, რომ პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის მაჩვენებლები არც თუ ისე მაღალია და გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა წახალისების სისტემა - შემუშავდა პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვების სქემა, რომელიც გულისხმობს აქტივობების ანაზღაურების ბონუს-სისტემას. აღნიშნული მექანიზმი შექმნილია, ერთის მხრივ, სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით ყველა აქტივობის მხარდაჭერისა და წახალისების მიზნით, რომლითაც სარგებლობს როგორც უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი, ასევე შეუძლია ისარგებლოს მოწვეულმა პერსონალმაც. მეორე მხრივ, ამ მექანიზმით უნივერსიტეტი ახორციელებს კვალიფიციური პერსონალის მოზიდვას.

სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის სრულად გამოყენების და ჯეროვანი განვითარების მიზნით აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში მოქმედებს „სამეცნიერო კვლევების დაფინანსების წესი“. გარდა ამისა, მიმდინარეობს პერსონალის განვითარებისათვის საჭირო სხვა ღონისძიებების დაგეგმვა, რომელიც ხორციელდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობითა და ადმინისტრირებით.

უნივერსიტეტში ყოველწლიურად ეწყობა სხვადასხვა მასშტაბის კონფერენციები, სადაც ბიზნეს ადმინისტრირების ფინანსების სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი სხვადასხვა ფორმით იღებს მონაწილეობას. ხარისხის სამსახური პერიოდულად ატარებს ტრენინგებს აკადემიური პერსონალისთვის (მაგალითად, სილაბუსის შედგენის მეთოდოლოგია, კურიკულუმის განვითარება და ა.შ). ასევე, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი თანამშრომლობს ლონდონის უნივერსიტეტთან (UCL) და ფრესენიუსის უნივერსიტეტთან. ამ თანამშრომლობების ფარგლებში დაგეგმილია ტრენინგები EEU აკადემიური პერსონალისათვის (შესაბამისი ინფორმაცია მოცემულია დანართში „აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები“ - 2015-2019 წლები).

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ ცხადყო გადამზადების საჭიროება, ყველაზე მეტად: სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და სამეცნიერო პროექტების წერის უნარ-ჩვევებში. ასევე გაირკვა, რომ ამ ეტაპზე საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში არ მონაწილეობენ არც სტუდენტები და არც პროფესორ-მასწავლებლები (თუმცა იგეგმება ამ უკანასკნელთა მონაწილეობა), რაც უარყოფითად აისახება სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხზე. ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ პერსონალის უმრავლესობა (62,3% - კვლევის

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                            |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p>ანგარიშის თანახმად არ ფლობს ინფორმაციას უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო აქტივობების დაფინანსებისა და მხარდაჭერის შესახებ; დაახლოებით ნახევარი არ იცნობს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელ დებულებას (კვლევის რაოდენობრივ მაჩვენებლებში ფიქსირდება სხვაობები მარეგულირებელი დოკუმენტების ცოდნასთან დაკავშირებით).</p>                                                                                                                                                                                                                                                                                |
| <p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების კითხვარი;</li> <li>○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;</li> <li>○ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები;</li> <li>○ პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგების გამოყენება პერსონალის მართვასა და განვითარებაში;</li> <li>○ სამეცნიერო კვლევების დაფინანსების წესი;</li> <li>○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;</li> </ul> |
| <p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>რეკომენდებულია დაწესებულებამ მოახდინოს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის წახალისება საერთაშორისო მობილობაში და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის კუთხით.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               |
| <p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |
| <p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |
| <p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                          |
| <p><b>შეფასება</b></p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |

|  |
|--|
|  |
|--|

**4.3 მატერიალური რესურსი**

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური ბაზა (მათ შორის საბიბლიოთეკო რესურსი), როგორც პესონალის და სტუდენტების შეფასებით, ისე ადგილზე დათვალიერებით ადასტურებს ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფას.

ამჟამად სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: შატილის ქ. 4. შენობაში არის 25 აუდიტორია, შეხვედრებისა და კონსულტაციების ოთახები, ლაბორატორიები, საკონფერენციო დარბაზები (დიდი და მცირე), ბიბლიოთეკა, 2 კომპიუტერული კლასი უწყვეტი ინტერნეტით, სპორტული და სატრენაჟორო დარბაზი, კაფეტერია.

სასწავლო კორპუსში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა, ცალკეული სივრცეები აღჭურვილია გათბობის დამატებითი საშუალებებით. აუდიტორიებში დამონტაჟებულია საპრეზენტაციო აპარატურა ან სარგებლობენ გადასადგილებელი პროექტორებით. სასწავლო კორპუსში უზრუნველყოფილია ინტერნეტთან თავისუფალი წვდომა, ფუნქციონირებს ელექტრონული სასწავლო ბაზა.

უსაფრთხოების შიდა სამსახურის მიერ სასწავლო კორპუსში დაცულია უსაფრთხოების ნორმები, შენობა აღჭურვილია კამერებით, საევაკუაციო გეგმებით და ცეცხლმაქრებით.

ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) სამაგისტრო პროგრამა სარგებლობს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკით. შერჩევითი შემოწმებით დასტურდება, რომ ბიბლიოთეკის ფონდში ხელმისაწვდომია სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურა და სახელმძღვანელოები. მოთხოვნის შემთხვევაში დაწესებულება ოპერატიულად უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის რესურსების განახლებას. ასევე, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ინტერნეტ-რესურსები და საერთაშორისო ელექტრონული ბაზები, როგორებიცაა:

- o ELSEVIER - <https://www.elsevier.com/>
- o Scopus – <http://www.scopus.com>
- o Science Direct – <https://www.sciencedirect.com/>
- o Scival Funding (Funding Institutional) – <https://www.fundinginstitutional.com>

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- o მტკიცებულებები/ინდიკატორები;



|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <ul style="list-style-type: none"> <li>○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;</li> <li>○ ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, საერთაშორისო ელ. ბაზები - <a href="https://eeu.edu.ge/en/library/international-scientific-literature-databases/">https://eeu.edu.ge/en/library/international-scientific-literature-databases/</a></li> <li>○ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულება;</li> <li>○ ელექტრონული სასწავლო ბაზა;</li> <li>○ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმა (უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე - <a href="http://eeu.edu.ge/en/sample-page-2/plan-of-development/">http://eeu.edu.ge/en/sample-page-2/plan-of-development/</a>)</li> <li>○ ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები) სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი;</li> <li>○ ინტერვიუების შედეგები;</li> </ul> |
| <b>რეკომენდაციები:</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |
| <b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
| <b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |
| <b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
| <p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                          |

|                                                                                                                                                           |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p><b>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</b></p>                                                                    |
| <p>პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p> |

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p align="center"><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>ვინაიდან ამ ეტაპზე სტუდენტთა კონტინგენტი ბიზნეს ადმინისტრირების ფინანსების სამაგისტრო პროგრამაზე მცირერიცხოვანია, პროგრამის შემოსავლები და ხარჯები ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.</p> <p>ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის და მიმდინარე მოთხოვნების შესაბამისად. ფაკულტეტის (შესაბამისად პროგრამის) ბიუჯეტში გათვალისწინებულია ხარჯების შემდეგი მუხლები: აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება, მატერიალური რესურსების და პროგრამის განვითარების დანახარჯები. მნიშვნელოვანი თანხებია გამოყოფილი სამეცნიერო აქტივობისთვის, რომელიც მთლიანი ხარჯების სტრუქტურაში 14.6%-ს და შრომის ანაზღაურების შემდეგ სიდიდით მეორე ხარჯს წარმოადგენს. ხარჯების 9.7% მოდის საერთაშორისო და სტუდენტურ კონფერენციებში, გაცვლითი პროგრამების და სხვადასხვა საერთაშორისო აქტივობების ხარჯებზე.</p> <p>ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p> |
| <p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის ბიუჯეტი;</li> <li>○ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმა;</li> <li>○ ინტერვიუები ფაკულტეტის და პროგრამის ადმინისტრაციასთან;</li> <li>○ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან;</li> </ul>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |
| <p><b>რეკომენდაციები:</b></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |
| <p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
| <p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |
| <p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
| <p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |

|                                                                                                                                  |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი                         | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-----------------------------------|------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------------|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓                            |                                       |                                         |                                     |

**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p><b>5.1 შიდა ხარისხის შეფასება</b></p> <p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p> <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ეფუძნება PDCA მიდგომის სისტემურ გამოყენებას. ხარისხის უზრუნველყოფის ორგანიზაციული თვალსაზრისით პასუხისმგებელი დეპარტამენტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურია, რომელიც კოორდინირებს უწევს ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებს. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ეფუძნება ექვს ძირითად პრინციპს: 1. გამჭვირვალობა. 2. ინფორმირებულობა. 3. პროცესებში ჩართულობაზე ორიენტირებულობა; 4. აკადემიური კეთილსინდისიერება და თავისუფლება; 5. უწყვეტობა; 6. ანგარიშვალდებულება. უნივერსიტეტში შემუშავებულია შემდეგი დოკუმენტები: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების წესი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი. საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხორციელდება</p> |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|

კვლევები რომლის მიზანია სერვისების, რესურსების, სწავლების, კვლევითი საქმიანობის შესახებ არსებული ტენდენციების გამოკვეთა და შეფასება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შიდა კვლევების განხორციელებისათვის მეთოდოლოგიური თვალსაზრისით იყენებს კვლევის როგორც რაოდენობრივ, ასევე, თვისებრივ ტექნიკას. უნივერსიტეტში ტარდება კვლევები შემდეგი მიმართულებით:

- პროგრამაზე მიღების შეფასება;
- სტუდენტების პროგრამით კმაყოფილების კვლევა;
- აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- პროგრამის კომპონენტის შეფასება;
- მობილობის კვლევა;
- სტუდენტების დასაქმების კვლევა;
- კურსდამთავრებულთა კმაყოფილების/დასაქმების კვლევა;
- დამსაქმებლების/პარტნიორების შეფასება;
- სტუდენტების სერვისებით კმაყოფილების კვლევა;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება;
- ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასება;
- კვლევითი საქმიანობის შეფასება.

კვლევის შედეგების ასახვა ხდება თვითშეფასების ანგარიშში. კვლევის შედეგების გაანალიზებაში და შეფასებაში ჩართულია თვითშეფასების ჯგუფი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელები. რომლის საფუძველზეც უნივერსიტეტში არსებული პროცედურების შესაბამისად ხდება ცვლილებების განხორციელება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები;
- ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები) სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი;
- თვითშეფასების ანგარიში;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):                                                                                                                                                                                                                                                                      |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)                                                                                                                                                                                                                              |
| <p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p> |

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>5.2 გარე ხარისხის შეფასება</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |
| პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                     |
| <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი პროგრამის გარე შეფასების მექანიზმად იყენებს უნივერსიტეტის ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურებს. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასების მიზნით იწვევს შესაბამისი დარგის ერთ ადგილობრივ და ერთ უცხოელ ექსპერტს. მაგალითად, ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) საგანმანათლებლო პროგრამა შესაფასებლად გადაეცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და არდენის უნივერსიტეტის პროფესორებს, გარე შემფასებლების დასკვნები პროგრამაზე დადებითია. გარდა ამისა, უნივერსიტეტი გარე შეფასების მიზნებისთვის ვალიდაციის პროცესშია მიდლსექსის უნივერსიტეტთან (ლონდონი), რომლის მიზანია უნივერსიტეტის ინსტიტუციური აფილირება. პროგრამის გარე შეფასების მექანიზმად ასევე იყენებს შრომის ბაზრის კვლევასა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზს. ანალიზის შედეგები გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და დახვეწის მიზნით.</p> |
| <p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა;</li> <li>○ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები;</li> <li>○ ინტერვიუს შედეგები;</li> <li>○ თვითშეფასების ანგარიში;</li> </ul>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                      |

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <ul style="list-style-type: none"> <li>○ სამაგისტრო პროგრამის შრომის ბაზართან შესაბამისობის კვლევა;</li> </ul>                                                                                                                                                                                                   |
| <b>რეკომენდაციები:</b>                                                                                                                                                                                                                                                                                           |
| <b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>                                                                                                                                                                                                                                                                        |
| <b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>                                                                                                                                                                                                                                                               |
| <b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>                                                                                                                                                                                                                       |
| <p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p> |

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p><b>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</b></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                            |
| <p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |
| <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების უწყვეტობა ეფუძნება „PDCA“ პრინციპს. პროგრამის მონიტორინგისათვის და შეფასებისთვის ხდება ინფორმაციის შეგროვება, რომლის კოორდინირებას უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების გაანალიზების შედეგად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამაში ცვლილებების განხორციელების მიზნით. კვლევის შედეგების გათვალისწინებით სამაგისტრო პროგრამაში უკვე განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია პროგრამის შემდგომი სრულყოფის თვალსაზრისით. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამაში სამიზნე ნიშნულები, რომელიც საშუალებას იძლევა სიღრმისეულად გაანალიზდეს არსებული მდგომარეობა და განისაზღვროს სამომავლოდ</p> |

ცვლილებების განხორციელების საჭიროება. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით განხორციელებული კვლევები (სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების კვლევა, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის ანალიზი) მნიშვნელოვანია გრძელვადიან დინამიკაში პროგრამით გათვალისწინებული შედეგების სისტემური შეფასების კუთხით. აღნიშნული კვლევები საშუალებას იძლევა მოხდეს იმ საკითხების იდენტიფიკაცია, რომელიც საჭიროა პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების გაუმჯობესების თვალსაზრისით. ბუნებრივია, მონაცემების სისტემური ანალიზი და მისი შედეგები საშუალებას აძლევს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას განახორციელოს ცვლილებები პროგრამის და უნივერსიტეტის საქმიანობის განვითარების მიზნით. რაც შეეხება კვლევის შედეგებით იდენტიფიცირებულ გასაუმჯობესებელ ზოგიერთ საკითხს, უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს ამაზე და გეგმავს, გააგრძელოს კვლევით მიღებული ინფორმაციის ანალიზი და შეიმუშაოს შესაბამისი მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები;
- ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები) სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი                                      | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|------------------------------------------------|------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------------|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓                            |                                       |                                         |                                     |

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)  
 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები)

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 41

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტები                                                                            | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|----------------------------------------------------------------------------------------|------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------------|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓                            |                                       |                                         |                                     |



|                                                                                    |   |   |  |  |
|------------------------------------------------------------------------------------|---|---|--|--|
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა |   | ✓ |  |  |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა                               | ✓ |   |  |  |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა                                               | ✓ |   |  |  |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები                                  | ✓ |   |  |  |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა მერაბ ხოხობაია




აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა მაია ბარამიძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა მაია მორგოშია



სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო ტალიკაძე

